

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EU) №1073/2009 რეგლამენტი
საავტობუსო მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების და (EU) №
561/2006 რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

(ახალი რედაქცია)

(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71-ე მუხლის
საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე¹,

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა შეთანხმების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების
თანახმად²,

ვინაიდან,

- (1) არსებობს მგზავრთა საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანის საერთო წესების შესახებ
საბჭოს 1992 წლის 16 მარტის (EEC) №684/92 რეგლამენტში³ და წევრი
სახელმწიფოების ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანი არარეზიდენტი
პირებისათვის გაწევის შესახებ პირობებთან დაკავშირებული საბჭოს 1997 წლის 11
დეკემბრის (EC) №12/9 რეგლამენტში⁴ მნიშვნელოვანი ცვლილებების
განხორციელების აუცილებლობა. სიცხადისა და გამარტივების მიზნებისთვის,
საჭიროა აღნიშნული მარეგულირებელი აქტების ხელახლა ჩამოყალიბება და საერთო
რეგლამენტად გაერთიანება.
- (2) საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის დანერგვა ასევე ითვალისწინებს წევრ
სახელმწიფოებში მგზავრების საერთაშორისო გადაყვანასთან დაკავშირებულ
პირობებს, ასევე პირობებს, რომელთა საფუძველზეც არარეზიდენტ გადაყვანებს
შეუძლიათ უზრუნველყონ ეროვნული სატრანსპორტო მომსახურების გაწევა წევრი
სახელმწიფოს ფარგლებში.
- (3) ევროპული გაერთიანების ფარგლებში მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე
საერთაშორისო გადაყვანის უზრუნველყოფის ჰარმონიზაციის მიზნით, წინამდებარე

¹ ოფიციალური ჟურნალი C 10, 15.1.2008, გვ. 44.

² ევროპარლამენტის 2008 წლის 5 ივნისის მოსაზრება (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში),
საბჭოს 2009 წლის 9 იანვრის ერთობლივი პოზიცია (ოფიციალური ჟურნალი N C 62 E, 17.3.2009, გვ. 25),
ევროპარლამენტის 2009 წლის 23 აპრილის პოზიცია (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და
საბჭოს 2009 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება .

³ ოფიციალური ჟურნალი L 74, 20.3.1992, გვ. 1.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 4, 8.1.1998, გვ. 10.

რეგლამენტი გამოყენებულ უნდა იქნას ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე ყოველ საერთაშორისო გადაყვანასთან მიმართებაში. მგზავრთა გადაყვანა წევრ სახელმწიფოებიდან მესამე ქვეყნებში ჯერ კიდევ რეგულირდება წევრ სახელმწიფოებსა და აღნიშნულ მესამე ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე რეგლამენტი არ გამოიყენება მარშრუტის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც გადის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში და წარმოადგენს მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილს, სანამ არ გაფრომდება შესაბამისი შეთანხმებები ევროპულ გაერთიანებასა და შესაბამის მესამე ქვეყნებს შორის. თუმცა წინამდებარე რეგლამენტი მოქმედებს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც იკვეთება ტრანზიტისას.

- (4) მომსახურების გაწევის თავისუფლება წარმოადგენს საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითად პრინციპს და მოითხოვს, ყოველგვარი ეთნიკური ნიშნით და დაფუძნების ადგილთან დაკავშირებული დისკრიმინაციის გარეშე, წევრ სახელმწიფოებში მოქმედი გადამყვანებისთვის საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფას.
- (5) მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანის განხორციელების პირობას წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ფლობა. გადამყვანებს ყოველ სატრანსპორტო საშუალებაში თან უნდა ჰქონდეთ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დამოწმებული ასლი, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტური კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით იმ წევრი სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ, სადაც ისინი არიან დაფუძნებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს ევროპული გაერთიანების ლიცენზიების გაცემისა და გამოთხოვის პირობები, მათი მოქმედების ვადა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალური პირობები. ასევე უნდა დამტკიცდეს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის და მისი დამოწმებული ასლების ფორმის დეტალური აღწერილობა და სხვა მახასიათებლები.
- (6) საგზაო შემოწმებები უნდა განხორციელდეს მგზავრთა გადამყვანი ოპერატორების ყოველგვარი ეთნიკური ნიშნით და დაფუძნების ადგილთან ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ადგილთან დაკავშირებული პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის გარეშე.
- (7) საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მიღებულ უნდა იქნას მოქნილი ზომები, ცალკეული ერთჯერადი რეისებისა და სპეციალური რეგულარული რეისების განხორციელების გარკვეულ პირობებთან მიმართებაში.
- (8) აუცილებელია ზოგიერთი წესის, კერძოდ, ლეგალიზაციის პროცედურებთან დაკავშირებული წესების გაუმჯობესება, რეგულარული სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელი სანებართვო ზომების შენარჩუნების მიზნით.
- (9) მომავალში მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელების ნებართვა გაიცემა მხოლოდ ლეგალიზაციის პროცედურის გავლის შემდეგ, განმცხადებლისათვის უარის თქმის მკვეთრად განსაზღვრული საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში. შესაბამის ბაზართან მიმართებაში, უარის თქმის საფუძვლად შესაძლებელია

მიჩნეულ იქნას ის ფაქტი, რომ განაცხადში მითითებულმა მომსახურებამ შესაძლებელია არსებითი გავლენა იქონიოს იმ შესაბამისი მომსახურების სიცოცხლისუნარიანობაზე, რომლის მიწოდება ხდება ერთი ან რამდენიმე საჯარო მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე, ან ის ფაქტი, რომ მომსახურების გაწევის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში განთავსებული გაჩერებების ერთი პუნქტიდან მეორეში.

- (10) გადამყვან არარეზიდენტ პირებს ეძლევათ ნებართვა განახორციელონ მგზავრების ტრანსპორტირება ეროვნულ დონეზე, თითოეული მომსახურების სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასეთი კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელება უნდა დარეგულირდეს ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით, კერძოდ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EU) № 561/2006 რეგლამენტით, საგზაო ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით სოციალური კანონმდებლობის გარკვეული დებულებების ჰარმონიზაციის შესახებ¹ და მასპინძელი წევრი სახელმწიფოების საქმიანობის აღნიშნული სახეობების მარეგულირებელ მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.
- (11) კაბოტაჟური მომსახურებების შემსრულებელ სატრანსპორტო საწარმოებზე ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 16 დეკემბრის 96/71/EC დირექტივით გათვალისწინებული დებულებები მომსახურების გაწევის სფეროში სამუშაოზე მიღების შესახებ².
- (12) არარეზიდენტ გადამყვანებს ეძლევათ მხოლოდ იმ რეგულარული გადაყვანის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო გადაყვანის ნაწილს, გარდა ქალაქის და გარეუბნის ტერიტორიაზე გადაყვანის განხორციელებისა, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, კერძოდ მასპინძელ წევრ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- (13) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოუჩინონ ერთმანეთს დახმარება, წინამდებარე რეგლამენტის ჯეროვნად განხორციელების მიზნით.
- (14) ადმინისტრაციული ფორმალობები შეძლებისდაგვარად უნდა იქნას დაყვანილ მინიმუმამდე, იმ კონტროლის საშუალებებსა და სანქციებზე უარის თქმის გარეშე, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე რეგლამენტის სათანადო გამოყენების და ეფექტური შესრულების გარანტიას. ამ მიზნით აუცილებელია გაუმჯობესდეს და განიმარტოს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გამოთხოვასთან დაკავშირებით მოქმედი წესები. უნდა მოხდეს ამჟამად მოქმედი წესების ადაპტირება, წევრ სახელმწიფოს (რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ქვეყანას) საზღვრებს გარეთ ჩადენილ სერიოზულ სამართალდარღვევაზე სანქციების ეფექტური გამოყენების მიზნით. სანქციები უნდა იყოს თანაზომიერი, შეესაბამებოდეს სამართალდარღვევის სერიოზულობას და არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს. უნდა არსებობდეს ნებისმიერი სანქციის გასაჩივრების შესაძლებლობა.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 102, 11.4.2006, გვ. 1.

² ოფიციალური ჟურნალი L 18, 21.1.1997, გვ. 1.

- (15) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გადამყვანების ყველა იმ სერიოზული სამართალდარღვევის ავტოსატრანსპორტო კომპანიათა ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში აღრიცხვა, რომელმაც გამოიწვია პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.
- (16) ეროვნულ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესების და მხარდაჭერის მიზნით, წევრი სახელმწიფოები უნდა აწვდიდნენ ერთმანეთს შესაბამის ინფორმაციას, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1071/2009 რეგლამენტის მიხედვით შექმნილი ეროვნული საკონტაქტო პუნქტების მეშვეობით, აღნიშნული რეგლამენტი განსაზღვრავს საერთო წესებს იმ პირობებთან მიმართებაში, რომელთა დაცვა აუცილებელია საგზაო გადამყვანი ოპერატორის სტატუსის მისაღებად¹.
- (17) წინამდებარე რეგლამენტის განხორციელების მიზნით, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება, კომისიისთვის დაკისრებული უფლებამოსილების შესრულების პროცედურების მარეგლამენტირებელი, საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების თანახმად².
- (18) კერძოდ, კომისიას უფლებამოსილი უნდა იყოს შეიმუშაოს ცალკეული დოკუმენტების ის ნიმუშები, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისთვის, ასევე მოიყვანოს წინამდებარე რეგლამენტის I და II დანართი ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან შესაბამისობაში. რადგან აღნიშნული ზომები ატარებს ზოგად ხასიათს და მიმართულია წინამდებარე რეგლამენტის დებულებების (მათში დამატებების შეტანის გზით) უმნიშვნელო გაუმჯობესებაზე, აღნიშნული ზომები მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 1999/468/EC დირექტივის 5ა მუხლით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის თანახმად.
- (19) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები წინამდებარე რეგლამენტის განხორციელების მიზნით, კერძოდ პრევენციული, თანაზომიერი და პროდუქტიული სანქციების გამოყენების მიზნით.
- (20) ტურიზმის მხარდაჭერის და ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების მიზნით, აუცილებელია (EC) №561/2006 რეგლამენტის დახვეწა, რაც საშუალებას მისცემს მგზავრთა ერთჯერადი საერთაშორისო ტრანსპორტირებით დაკავებულ მძღოლებს გადადონ საკუთარი ყოველკვირეული დასვენება 12 თანმიმდევრული 24-საათიანი პერიოდის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახორციელებენ მგზავრთა ისეთი სახით ტრანსპორტირებას, რაც არ მოითხოვს სატრანსპორტო საშუალების უწყვეტ და მრავალსაათიან მართვას. აღნიშნული სახის გადავადება დაიშვება მხოლოდ იმ პირობების მკაცრად დაცვის შემთხვევაში, რომლებიც წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გარანტიას და ასევე მოიცავს მძღოლთა სამუშაო პირობებს, მათ შორის ყოველკვირეული დასვენების უზრუნველყოფას რეისის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ. კომისია ვალდებულია ყურადღებით გააკონტროლოს აღნიშნული გამონაკლისით სარგებლობა. იმ ფაქტობრივი ვითარების არსებითი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც ამართლებს აღნიშნული გამონაკლისის

¹იხილეთ წინამდებარე ოფიციალური ჟურნალის 51-ე გვერდი.

²ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

გამოყენებას, და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შემცირების შემთხვევაში, კომისიამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

- (21) ვინაიდან წინამდებარე რეგლამენტის მიზანი – მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანის სისტემის ჰარმონიზაცია – ვერ იქნება სრულად მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ შესაძლებელია მიღწეულ იქნას ევროპული გაერთიანების დონეზე, მისი მასშტაბურობის და გავლენის გამო; ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები, შეთანხმების მე–5 მუხლში მოცემული ინიციატივის სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, როგორც განმარტებულია წინამდებარე მუხლში, აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, წინამდებარე რეგლამენტი არ სცილდება აუცილებლობის ფარგლებს,

დაამტკიცეს წინამდებარე დირექტივა:

თავი I

ძირითადი დებულებები

მუხლი 1

მოქმედების არეალი

1. წინამდებარე რეგლამენტი გამოიყენება ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე მგზავრების საერთაშორისო საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანასთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით, გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ან დამოუკიდებლად წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული იმ გადაწყვეტილების მიერ, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ სახელმწიფოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებს. კონსტრუქციიდან და აღჭურვილობიდან გამომდინარე, ასეთი სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენება ცხრაზე მეტი ადამიანის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით, ასევე ამ სატრანსპორტო საშუალებების მგზავრების გარეშე, მაგრამ აღნიშნულ გადაყვანასთან დაკავშირებით გადაადგილებისათვის.
მგზავრობისას სატრანსპორტო საშუალების შეცვლა ან მარშრუტის შეწყვეტა, სატრანსპორტო საშუალების გამოცვლის მიზნით, არ მოქმედებს წინამდებარე რეგლამენტის გამოყენებაზე.
2. წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყნებში და პირიქით გადაყვანის განხორციელებისას, ვრცელდება იმ რეისის ნაწილზე, რომელიც კვეთს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას ტრანზიტისას. რეგლამენტი არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს რეისის იმ ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილს, ვიდრე არ გაფორმდება შესაბამისი შეთანხმებები ევროპული გაერთიანებისა და მესამე ქვეყანას შორის.

3. მე-2 პუნქტში მითითებული შეთანხმებების გაფორმებამდე, წინამდებარე რეგლამენტი არ ვრცელდება იმ დებულებებზე, რომელთა მეშვეობით ხდება წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და პირიქით განხორციელებული გადაყვანის რეგულირება, და რომლებიც წარმოდგენილია წევრ სახელმწიფოებსა და მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებში.
4. წინამდებარე რეგლამენტი ვრცელდება მგზავრების ეროვნულ გადაყვანაზე, რომელთა განხორციელება ხდება დროებით მომუშავე არარეზიდენტი გადამყვანების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, V თავის თანახმად.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

1. 'მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანა' ნიშნავს:
 - (ა) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტს, რომლის გაჩერების საწყისი და საბოლოო პუნქტები მდებარეობს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში და კვეთს ან არ კვეთს ერთი ან რამდენიმე მესამე ქვეყნის ან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებს;
 - (ბ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი, რომლის გაჩერების საწყისი და საბოლოო პუნქტები მდებარეობს ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში მაშინ, როდესაც მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილი მდებარეობს სხვა წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში;
 - (გ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყნის მიმართულებით და უკან, რომელიც კვეთს ან არ კვეთს ერთი ან რამდენიმე მესამე ქვეყნის ან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებს; ან
 - (დ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი ერთი მესამე ქვეყნიდან მეორეში, რომელიც კვეთს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას;
2. 'რეგულარული მომსახურება' ნიშნავს მომსახურებას, რომელიც მოიცავს მგზავრთა ტრანსპორტირებას, განრიგის მიხედვით, გარკვეული მარშრუტით და მგზავრთა ჩასხდომასა და გადმოსხმას გაჩერების პუნქტებში;
3. 'სპეციალური რეგულარული მომსახურება' ნიშნავს რეგულარული ხასიათის მქონე მომსახურებას, რომელიც მოიცავს მგზავრთა ცალკეული კატეგორიების ტრანსპორტირებას;
4. 'ერთჯერადი მომსახურება' ნიშნავს მომსახურებას, რომელიც არ შედის 'რეგულარულ მომსახურებაში' და მოიცავს სპეციალურ რეგულარულ გადაყვანას,

რომელთა ძირითადი მახასიათებელი არის მგზავრთა იმ ჯგუფის ტრანსპორტირება, რომელიც ფორმირებული იქნა კლიენტის ან გადამზიდავის ინიციატივით;

5. 'დამოუკიდებელი სატრანსპორტო საქმიანობა' ნიშნავს არაკომერციულ საქმიანობას, რომელსაც ეწევა ფიზიკური ან იურიდიული პირი იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც არ უკავშირდება მოგების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ:
 - ამ ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის სატრანსპორტო საქმიანობა არ წარმოადგენს მის ძირითად საქმიანობის სფეროს, და
 - გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს აღნიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებას, ან შესყიდულია ამ პირის მიერ განვადებით, ან წარმოადგენს გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულების საგანს, მათი მართვა ხორციელდება ფიზიკური ან იურიდიული პირის თანამშრომლის, ფიზიკური პირის ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პერსონალის მიერ;
6. 'მასპინძელი წევრი სახელმწიფო', ნიშნავს წევრ სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს იმ გადამყვანის დაფუძნების ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე იგი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას;
7. 'კაბოტაჟური ოპერაციები' ნიშნავს:
 - ეროვნულ დონეზე მგზავრთა გადაყვანას, რომლის განხორციელება ხდება დროებით, არარეზიდენტი გადამყვანების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, ან
 - მგზავრთა ჩასხდომა და გადმოსხმა ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, რეგულარული საერთაშორისო გადაყვანის მარშრუტზე, წინამდებარე რეგლამენტით გათალისწინებული დებულებების მიხედვით, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს მომსახურების მიწოდების ძირითად მიზანს;
8. 'ევროპული გაერთიანების საგზაო სატრანსპორტო კანონმდებლობის სერიოზულ სამართალდარღვევად' ითვლება სამართალდარღვევა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, (EC) №1071/2009 რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით ან/და სამართალდარღვევა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დროებითი ან მუდმივი გამოთხოვა.

მუხლი 3

მომსახურების მიწოდების თავისუფლება

1. წინამდებარე რეგლამენტის თანახმად, რეგულარული გადაყვანის, მგზავრების სპეციალური რეგულარული და ერთჯერადი საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანის ჩათვლით, განხორციელების უფლება ენიჭება ყველა გადამყვანს, რომელიც ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების

გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, პირველი მუხლის თანახმად, ეთნიკური ნიშნით ან დაფუძნების ადგილის მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მას გააჩნია ნებართვა იმ წევრ სახელმწიფოში რეგულარული გადაყვანის, მგზავრების სპეციალური რეგულარული და ერთჯერადი საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანის, განხორციელებაზე, რომელიც წარმოადგენს გადაყვანის დაარსების ქვეყანას, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ ბაზარზე წვდომის პირობების შესაბამისად;
- (ბ) იგი იცავს, ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო საქმიანობის განხორციელებისას, მგზავრთა გადაყვანი ოპერატორის სტატუსის მოპოვების შესახებ წესების მიხედვით განსაზღვრულ პირობებს; და
- (გ) იცავს კანონმდებლობით დადგენილ იმ კრიტერიუმებს მძღოლებთან და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოს 1992 წლის 10 თებერვლის 92/6/EEC დირექტივაში, ევროპულ გაერთიანებაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარკვეული სახეობებისათვის სიჩქარის შეზღუდვის მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ¹, საბჭოს 1996 წლის 25 ივლისის №96/53 დირექტივაში, რომელიც განსაზღვრავს იმ გარკვეული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურ ზომას და წონას, რომლებიც გამოიყენება ევროპული გაერთიანების ფარგლებში განსახორციელებელ ეროვნულ და საერთაშორისო გადაყვანასთან მიმართებაში², და ევროპარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის №2003/59/EC დირექტივაში, მგზავრების გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილი ცალკეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების პერიოდული გადამზადებისა და საბაზო კვალიფიკაციის შესახებ³.

2. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების უფლება აქვს ყველა დამოუკიდებელ გადაყვანს პირველი მუხლის მიხედვით, ეთნიკური ნიშნით და დაფუძნების ადგილთან დაკავშირებული დისკრიმინაციის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ:

- (ა) მათ გააჩნიათ ნებართვა იმ წევრ სახელმწიფოში რეგულარული ფადაყვანის განხორციელებაზე, რომელიც წარმოადგენს გადაყვანის დაარსების ქვეყანას, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე წვდომის პირობების თანახმად; და
- (ბ) იცავენ კანონმდებლობით დადგენილ იმ კრიტერიუმებს მძღოლებთან და სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია 92/6/EEC, 96/53/EC და 2003/59/EC დირექტივებში.

¹ ოფიციალური ჟურნალი L57, 2.3.1992, გვ. 27.

² ოფიციალური ჟურნალი L235, 17.9.1996, გვ. 59.

³ ოფიციალური ჟურნალი L226, 10.9.2003, გვ. 4.

თავი II

ევროპული გაერთიანების ლიცენზია და ბაზარზე წვდომა

მუხლი 4

ევროპული გაერთიანების ლიცენზია

1. მგზავრთა საერთაშორისო საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანა ხორციელდება ევროპული გაერთიანების იმ ლიცენზიის არსებობის პირობით, რომელიც გაიცემა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, სადაც გადამზიდავი არის დაფუძნებული.
2. იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაარსების ადგილს, გასცემენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დედანს, ასევე ლიცენზიის დამოწმებულ ასლებს, იმ სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისთვის და რომლებიც წარმოადგენენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის საკუთრებას, საკუთრების ან სხვა უფლების საფუძველზე, კერძოდ, შეძენილია განვადებით ან საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე.
ევროპული გაერთიანების ლიცენზია, ასევე ლიცენზიის დამოწმებული ეგზემპლარები უნდა შეესაბამებოდეს II დანართში წარმოდგენილ ნიმუშს და მოიცავდეს I დანართში მითითებულ უსაფრთხოების მინიმუმ ორ ნიშანს.
ევროკომისიას უზრუნველყოფს I და II დანართების ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული ზომები, რომელთა დანიშნულებაც არის წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფა, მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში წარმოდგენილი მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.
ევროპული გაერთიანების ლიცენზიაზე, ასევე მის დამოწმებულ ასლებზე მითითებული უნდა იყოს გამცემი ორგანოს ბეჭედი, ხელმოწერა და სერიული ნომერი. ევროპული გაერთიანების ლიცენზიებისა და მათი დამოწმებული ასლების სერიული ნომრები აღრიცხულ უნდა იქნას ავტოსატრანსპორტო კომპანიების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში, რომელიც გათვალისწინებულია (EU) №1071/2009 რეგლამენტის მე-16 მუხლით, როგორც გადამზიდავის შესახებ ინფორმაციის ნაწილი.
3. ევროპული გაერთიანების ლიცენზია გაიცემა გადამზიდავის სახელზე და არ ექვემდებარება სხვა პირის მიმართ გადაცემას. ლიცენზიის დამოწმებული ასლი ექვემდებარება შენახვას გადამზიდავის ყოველ სატრანსპორტო საშუალებაში და უნდა იქნას წარდგენილ ნებისმიერი მაკონტროლებელი პირის მოთხოვნისამებრ.
4. ევროპული გაერთიანების ლიცენზია გაიცემა 10 წლამდე პერიოდით, მისი გაგრძელების უფლებით.

ევროპული გაერთიანების ლიცენზია, ასევე ლიცენზიის დამოწმებული ასლი, რომელიც გაცივმა წინამდებარე რეგლამენტის გამოყენების თარიღამდე, მოქმედებს მისი მოქმედების ვადის გასვლამდე.

5. ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელებაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, წევრი სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ქვეყანას, კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ კონტროლს მის შესაბამისობას მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
6. მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ქვეყანას, კომპეტენტური ორგანოები, უარს განაცხადებენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გაცივმაზე ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გზით.
7. წევრი სახელმწიფოები აძლევენ განმცხადებელს ან ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელს, წევრ სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ქვეყანას, კომპეტენტური ორგანოების იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას, რომელიც ეხება ლიცენზიის გაცივმაზე უარის თქმას ან აღნიშნული ლიცენზიის გამოთხოვას.
8. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მოქმედების ეროვნულ სატრანსპორტო საქმიანობაზე გავრცელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5

ბაზარზე წვდომა

1. მგზავრთა რეგულარული გადაყვანა წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ მომსახურებას, და, აუცილებლობის შემთხვევაში, ექვემდებარება სავალდებულო რეზერვირებას.

აღნიშნული გადაყვანის განხორციელების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ნებართვის მიღება, მე-3 მუხლის დებულებების თანახმად.

წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში მზგავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი ნებართვის მიღება, წევრ სახელმწიფოებსა და აღნიშნულ მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების თანახმად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – იმ წევრ სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც კვეთს გადამყვანი, ევროპული გაერთიანებასა და მესამე ქვეყნებს შორის აუცილებელი შეთანხმების გაფორმებამდე.

მგზავრთა გადაყვანის რეგულარული ხასიათი არ უნდა იცვლებოდეს, მათი გადაყვანის განხორციელების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის შედეგად.

მგზავრთა პარალელური ან დროებითი გადაყვანის ორგანიზება, რეგულარული გადაყვანა არსებულ მარშრუტებზე, ცალკეული გაჩერების პუნქტების დამატება ან გაუქმება რეგულირდება იმ წესებით, რომლებიც ვრცელდება არსებულ რეგულარულ გადაყვანაზე.

2. მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა გულისხმობს:

ა) მუშაკების ტრანსპორტირებას სამუშაო ადგილამდე და უკან;

ბ) სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებას საგანმანათლებლო დაწესებულებამდე და უკან.

ამ სახეობის გადაყვანის მომხმარებლების მოთხოვნების მიხედვით, სპეციალური გადაყვანის შეცვლის შესაძლებლობა არ ახდენს გავლენას მათ რეგულარული გადაყვანის კლასიფიკაციაზე.

მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელებისათვის არ არის აუცილებელი ნებართვის მიღება, მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მათი განხორციელება ხდება შემკვეთსა და გადამყვანს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ერთჯერადი გადაყვანის განხორციელებისათვის არ არის აუცილებელი ნებართვის მიღება, მე-3 პუნქტის თანახმად.

მაგრამ მგზავრთა იმ პარალელური ან დროებითი გადაყვანის ორგანიზება, რომლის შედარებაც შეიძლება არსებულ რეგულარულ გადაყვანის ოპერაციებთან და ემსახურება იმავე მომხმარებელს, საჭიროებს შესაბამისი ნებართვის მიღებას, მე-3 პუნქტში მითითებული პროცედურის თანახმად.

მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა არ კარგავს მის სტატუსს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული სახის გადაყვანა ხორციელდება გარკვეული ინტერვალებით.

მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა შესაძლოა განხორციელდეს გადამყვანთა ჯგუფის მიერ, რომელიც მოქმედებს მომსახურების ერთი მომწოდებლის სახელით, ამავდროულად წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მგზავრებს უფლება აქვთ შეცვალონ ერთი გადამყვანი იმავე ჯგუფში შემავალი სხვა გადამყვანით.

ევროკომისია განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების, აღნიშნული გადამყვანების დასახელების და გზაში გადაჯდომის პუნქტების შესახებ ინფორმირების პროცედურას. ასეთი ზომების მიღება, წინამდებარე რეგლამენტის უმნიშვნელო დებულებების სრულყოფის მიზნით, ასეთ დებულებებში დამატებების შეტანის გზით, ხორციელდება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის ანალიზის შესაბამისად.

4. სატრანსპორტო საშუალებების ცარიელი რეისები, რომელთა განხორციელება უკავშირდება, მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტსა და მე-3 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებულ სატრანსპორტო საქმიანობას, არ საჭიროებს ნებართვის მიღება.

5. დამოუკიდებელ სატრანსპორტო საქმიანობაზე არ ვრცელდება ლეგალიზების სისტემა, მაგრამ ექვემდებარება სერტიფიცირების სისტემას.

სერტიფიკატები გაიცემა იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, სადაც სატრანსპორტო საშუალება იმყოფება რეგისტრაციაში, და ასეთი ლიცენზიები მოქმედებს სრული მარშრუტის განმავლობაში, ტრანზიტის ჩათლით.

ევროკომისია განსაზღვრავს სერტიფიკატების ფორმას. აღნიშნული ზომების მიღება, წინამდებარე რეგლამენტის უმნიშვნელო დებულებების სრულყოფის მიზნით, ასეთ დებულებებში დამატებების შეტანის გზით, ხდება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის ანალიზის შესაბამისად.

თავი 3

ნებართვას დაქვემდებარებული მგზავრთა რეგულარული გადაყვანა

მუხლი 6

ნებართვის არსი

1. ნებართვა გაიცემა გადამყვანის სახელზე და არ ექვემდებარება სხვა პირის მიმართ გადაცემას. თუმცა იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს, შემდგომში წოდებული, როგორც 'სანქციონების ორგანო', თანხმობით, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია გაჩერების საწყისი პუნქტი; ნებართვის მიმღები გადამყვანი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს საკუთარი საქმიანობა ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის დასახელება და ფუნქციები მითითებული იქნება ნებართვაში. ქვეკონტრაქტორი უნდა აკმაყოფილებდეს მე-3 მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილ მოთხოვნებს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, გაჩერების საწყისი პუნქტი ნიშნავს მარშრუტის ერთერთ საბოლოო პუნქტს.

მგზავრთა რეგულარული გადაყვანის კომპანიების გაერთიანების მიერ განხორციელების შემთხვევაში, ნებართვა გაიცემა თითოეული მათგანის სახელზე, ყოველი ოპერატორების დასახელების მითითებით. პარალელურად კომპანიას, რომელიც ეწევა სატრანსპორტო საქმიანობის მართვას, მიეწოდება ნებართვის დედანი, ხოლო დანარჩენ კომპანიებს – ნებართვის ასლი.

2. ნებართვის მოქმედების ვადა არ აღემატება 5 წელიწადს. განმცხადებლის მოთხოვნისამებრ ან წევრი სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილს, კომპეტენტური ორგანოს ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, აღნიშნული ვადა შესაძლოა შემცირდეს.

3. ნებართვა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- (ა) გადაყვანის სახეობა;
 - (ბ) გადაყვანის მარშრუტი, მარშრუტის საწყისი და საბოლოო პუნქტების მითითებით;
 - (გ) ნებართვის მოქმედების ვადა;
 - (დ) გაჩერების პუნქტები და განრიგი.
4. ევროკომისია განსაზღვრავს სერტიფიკატების ფორმატს. აღნიშნული ზომების მიღება, წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფის მიზნით, ასეთ დებულებებში დამატებების შეტანის გზით, ხდება, საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26(2) მუხლით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის ანალიზის შესაბამისად.
5. ნებართვა საშუალებას აძლევს მის მფლობელს (მფლობელებს) განახორციელოს მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ყველა იმ წევრ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზე გადის გადაყვანის მარშრუტი.
6. გამონაკლის და დროებითი ხასიათის მქონე შემთხვევებში, მგზავრთა რეგულარულად გადამყვან ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი სატრანსპორტო საშუალებები. ასეთი სატრანსპორტო საშუალებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოდგენილია მე-3 პუნქტში მითითებულ ნებართვაში.
- ასეთ შემთხვევაში გადამყვანი უზრუნველყოფს, სატრანსპორტო საშუალებაში შემდეგი დოკუმენტების არსებობას:
- ა) მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელების ნებართვის ასლი;
 - ბ) კომპანიისა და რეგულარულად გადამყვან ოპერატორს შორის გაფორმებული იმ ხელშეკრულების ასლები, რომლის თანახმადაც გაიცემა დამატებითი სატრანსპორტო საშუალებები ან მსგავსი ძალის მქონე დოკუმენტი;
 - გ) იმ ოპერატორის მიმართ გაცემული ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დამოწმებული ასლი, რომელიც გადაყვანის განხორციელებისათვის იყენებს დამატებით სატრანსპორტო საშუალებებს.

მუხლი 7

განაცხადის წარდგენა ნებართვის მისაღებად

1. მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელებისათვის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული განაცხადი წარედგინება ნებართვის გამცემ ორგანოს.
2. ევროკომისია განსაზღვრავს სერტიფიკატების ფორმატს. აღნიშნული ზომების მიღება, წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების

სრულყოფის მიზნით, ასეთ დებულებებში დამატებების შეტანის გზით, ხდება, საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26(2) მუხლით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის ანალიზის შესაბამისად.

- პირები, რომლებსაც სურთ ნებართვის მიღება, წარადგენენ ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას, რომელიც მათი შეხედულებისამებრ არის მნიშვნელოვანი, ან რომელიც მოთხოვნილია ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ, კერძოდ, განრიგს, რომელიც საშუალებას იძლევა განსაზღვროს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის შესაბამისობა მძღოლების სამუშაო და დასვენების დროსთან, ასევე ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ასლს.

მუხლი 8

ნებართვის გაცემის პროცედურა

- ნებართვები გაიცემა ყველა იმ წევრი სახელმწიფოს ორგანოების თანხმობით, რომელთა ტერიტორიაზე ხორციელდება მგზავრთა ჩასხდომა ან გადმოსხმა. ნებართვის გამცემი ორგანო უგზავნის მათ და ასევე იმ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს, რომელთა ტერიტორიაზე გადის მარშრუტი, მგზავრთა ჩასხდომის და გადმოსხმის განხორციელების გარეშე, განაცხადისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ასლებს, ასევე საკუთარ დასკვნას.
- წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები, რომელთა ნებართვა იყო მოთხოვნილი, აცნობებენ ნებართვის გამცემ ორგანოებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, 2 თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის ათვლა იწყება თანხმობის წარდგენის შესახებ მოთხოვნის მიღების თარიღიდან, რომელიც მითითებულია მიწოდების შესახებ შეტყობინებაში. წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უნდა მოხდეს აღნიშნულის დასაბუთება. აღნიშნული ორგანოებიდან პასუხის 2 თვის განმავლობაში მიუღებლობის შემთხვევაში, მათი თანხმობა ჩაითვლება მიღებულად და სანქციის დაწესებაზე უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ გასცენ ნებართვა.

წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს, რომელთა ტერიტორია იკვეთება გადამყვანების მიერ, მგზავრთა ჩასხდომის განხორციელების გარეშე, შეუძლიათ მიაწოდონ ნებართვის გამცემ ორგანოებს საკუთარი შენიშვნები პირველ ქვეპუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

- ნებართვის გამცემი ორგანო ლებულობს გადაწყვეტილებას, გადამყვანის მიერ განაცხადის წარდგენიდან 4 თვის განმავლობაში.
- ნებართვის გაცემა არ ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც:
 - განმცხადებელს არ შეუძლია განახორციელოს მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს განაცხადის საგანს, აუცილებელი მოწყობილობის არარსებობის შემთხვევაში;

- (ბ) განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ ეროვნულ ან საერთაშორისო კანონმდებლობას, კერძოდ, პირობებს და მოთხოვნებს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების განხორციელების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით; ან მნიშვნელოვნად არღვევს ევროპული გაერთიანების კანონმდებლობას საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ, კერძოდ, იმ წესებს, რომლებიც მოქმედებს როგორც სატრანსპორტო საშუალებებთან, ასევე მძღოლთა სამუშაო და დასვენების საათებთან მიმართებაში;
- (გ) არ არის დაცული ნებართვის მიწოდების პირობები, ნებართვის ვადის გაგრძელებაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში;
- (დ) წევრი სახელმწიფო, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, ღებულობს გადაწყვეტილებას, რომ განაცხადში მითითებული მომსახურება უარყოფითად აისახება იმ შედარებითი მომსახურების სარგებლობის პირობებზე, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება ერთი ან მეტი ხელშეკრულების საფუძველზე, ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის თანახმად. მოცემულ შემთხვევაში წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს ობიექტურ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით ხდება განაცხადში მითითებული მომსახურების ზემოაღნიშნულ შედარებითი მომსახურების სარგებლობის პირობებზე განხორციელებული გავლენის განსაზღვრა, და წარუდგენს ევროკომისიას ინფორმაციას ზემოაღნიშნულის შესახებ, კომისიის მოთხოვნისამებრ;
- ე) წევრი სახელმწიფო, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, ღებულობს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მომსახურების მიწოდების ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მგზავრთა ტრანსპორტირება, ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე განთავსებული ერთი გაჩერების პუნქტიდან მეორეში.

იმ შემთხვევაში თუ არსებული მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ შედარებითი მომსახურების სარგებლობის პირობებზე, რომელთა მიწოდება ხდება ერთი ან მეტი ხელშეკრულების საფუძველზე, ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის თანახმად, და განსაკუთრებული მიზეზების გამო ამის წინასწარ, ნებართვის გაცემის დროს განსაზღვრა შეუძლებელია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ევროკომისიის თანხმობის საფუძველზე, აჩერებს მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანის ნებართვის მოქმედებას, რის შესახებაც აცნობებს გადამყვანს 6 თვით ადრე.

გადამყვანისთვის გაცილებით დაბალი ფასების შეთავაზება ან მარშრუტის სხვა ავტოსატრანსპორტო გადამყვანების მიერ მომსახურება არ წარმოადგენს განაცხადის უარყოფის საფუძველს.

5. ნებართვის გამცემ ორგანოსა და პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმების მიღწევის პროცედურაში მონაწილე ყოველ წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს

შეუძლიათ უარყონ განაცხადი მხოლოდ წინამდებარე რეგლამენტში მითითებული მიზეზების საფუძველზე.

6. 1–5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ, ნებართვის გამცემი ორგანო გასცემს ნებართვას ან ოფიციალურად უარყოფს განაცხადს.
განაცხადის უარყოფის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. წევრი სახელმწიფოები აძლევენ სატრანსპორტო კომპანიებს შესაძლებლობას მოახდინონ აღნიშნული უარყოფის გასაჩივრება.
ნებართვის გამცემი ორგანო ატყობინებს ყოველ, პირველ პუნქტში მითითებულ ორგანოს, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, მათთვის ნებართვის ასლის გაგზავნის გზით.
7. იმ შემთხვევაში, თუ პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიღწევის პროცედურა არ აძლევს ნებართვის გამცემ ორგანოს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, შესაძლებელია საქმე გადაეცეს ევროკომისიას განსახილველად, ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოსათვის, რომელთა კონსულტირება ხდება პირველი პუნქტის შესაბამისად, უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიწოდებიდან 2 თვის განმავლობაში.
8. დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებთან შეთანხმების შემდეგ, ევროკომისია, ნებართვის გამცემი ორგანოსაგან შეტყობინების მიღებიდან 4 თვის განმავლობაში, იღებულობს დებს გადაწყვეტილებას, რომელიც შევა კანონიერ ძალაში დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების შეტყობინებიდან 30 დღის გასვლისთანავე.
9. ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კვლავ რჩება ძალაში, დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევის მომენტამდე.

მუხლი 9

ნებართვაში ცვლილების შეტანა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელება

მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირობები, აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებით, გამოიყენება მგზავრთა გადაყვანის განხორციელების პირობების შეცვლასთან და ნებართვების შესახებ განაცხადებთან დაკავშირებით.

სატრანსპორტო მომსახურების პირობების უმნიშვნელო შეცვლის, კერძოდ განრიგის, მგზავრობის გადასახადის, შესვენების კორექტირების შემთხვევაში, ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია აცნობოს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს ასეთი ცვლილებების შესახებ.

დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოახდინონ, მგზავრთა გადაყვანის პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირება ნებართვის გამცემი ორგანოების მიმართ.

მუხლი 10

ნებართვის მოქმედების შეწყვეტა

1. საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით¹ მგზავრთა გადაყვანის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის (EU) №1370/2007 რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებების შეზღუდვის გარეშე, მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვა კარგავს ძალას, მისი მოქმედების ვადის დასრულებისთანავე, ან ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ასეთი მომსახურების მიწოდების შეწყვეტის განზრახვის შესახებ ნებართვის მფლობელის შეტყობინების მიღებიდან 3 თვის შემდეგ. აღნიშნული შეტყობინება უნდა ითვალისწინებდეს დასაბუთებულ საფუძველს.
2. მომსახურებაზე მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვადა შეადგენს 1 თვეს.
3. ნებართვის გამცემი ორგანო აწვდის დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებს ინფორმაციას ნებართვის მოქმედების პერიოდის დასრულების შესახებ.
4. ნებართვის მფლობელი აწვდის ინფორმაციას მომსახურების მომხმარებელს მომსახურების შეწყვეტის შესახებ ერთი თვით ადრე, ამ ინფორმაციის სათანადო წესით გამოქვეყნების გზით.

მუხლი 11

გადამყვანების პასუხისმგებლობა

1. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევების გარდა, მგზავრთა რეგულარულად გადამყვანმა ოპერატორმა, ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტამდე, უნდა მიმართოს ყოველგვარ აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყოს უცვლელობის, რეგულარულობისა და ხარისხის მოთხოვნების, ასევე კომპეტენტური ორგანოს მიერ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება.
2. გადამყვანი ვალდებულია ყოველგვარი ხელმისაწვდომი გზით მიაწოდოს მომსახურების მომხმარებლებს, ფადაყვანის მარშრუტის, ავტობუსის გაჩერებების, განრიგის, მგზავრობის საფასურის და ტვირთის გადაზიდვის პირობების შესახებ ინფორმაცია.
3. (EU) 1370/2007 რეგლამენტის შეზღუდვის გარეშე, შესაძლებელია დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების მიერ, მათ შორის ურთიერთშეთანხმების მიღწევის და ნებართვის მფლობელის თანხმობის შემთხვევაში, განხორციელდეს მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელების პირობებში ცვლილებების შეტანა.

თავი IV

¹ ოფიციალური ჟურნალი L 315, 3.12.2007, გვ.1.

მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა და გადაყვანის სხვა სახეობები, რომლებთან დაკავშირებითაც არ არის საჭირო ნებართვის მიღება

მუხლი 12

მაკონტროლებელი დოკუმენტები

1. მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა ხორციელდება სამარშრუტო ფორმის საფუძველზე, გარდა იმ გადაყვანის სახისა, რომლებიც მითითებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში.
2. ის გადამყვანი, რომელიც ახორციელებს მგზავრთა ერთჯერად გადაყვანას, ავსებს სამარშრუტო ფორმას ყოველი რეისის დაწყებამდე.
3. სამარშრუტო ფორმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) გადაყვანის სახეობა;
 - ბ) ძირითადი მარშრუტი;
 - გ) გადამყვან(ებ)ის დასახელება.
4. სამარშრუტო წიგნები გაიცემა იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს; ან აღნიშნული ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ.
5. კომისია განსაზღვრავს სამარშრუტო ფორმატს, სამარშრუტო წიგნის ნიმუშს და მათი გამოყენების მეთოდს. ასეთი ღონისძიებების, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფა, მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.
6. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული, სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების შემთხვევაში, მაკონტროლებელ დოკუმენტს წარმოადგენს ხელშეკრულება ან მისი დამოწმებული ასლი.

მუხლი 13

ადგილობრივი ექსკურსიები

მგზავრთა საერთაშორისო ერთჯერადი გადაყვანის ფარგლებში, გადამყვანს შეუძლია უზრუნველყოს ერთჯერადი მომსახურება (ადგილობრივი ექსკურსიები) იმ წევრ სახელმწიფოში, რომელიც არ წარმოადგენს მისი დაფუძნების ადგილს.

აღნიშნული სახის მომსახურება ვრცელდება იმ არარეზიდენტ მგზავრებზე, რომლებმაც წინასწარ ისარგებლეს პირველ პუნქტში მითითებული საერთაშორისო გადაყვანის მომსახურებით, რაც გაწეული იქნა იგივე გადამყვანის მიერ; და ხორციელდება იმავე სატრანსპორტო საშუალების ან სხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, რომელიც ეკუთვნის აღნიშნულ გადამყვანს ან გადამყვანთა ჯგუფს.

თავი 5**კაბოტაჟი****მუხლი 14****ზოგადი პრინციპი**

მე-15 მუხლით გათვალისწინებული კაბოტაჟური ტრანსპორტირების განხორციელების უფლება გააჩნია ყველა იმ გადაყვანს, რომელიც ეწევა საკუთარ საქმიანობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით, გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, და რომელსაც გააჩნია ევროპული გაერთიანების ლიცენზია, წინამდებარე თავში წარმოდგენილი პირობების თანახმად, და ეთნიკური ნიშნით ან დაფუძნების ადგილის მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 15**ნებადართული კაბოტაჟური ოპერაციები**

კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელება საჭიროებს ნებართვას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

- ა) მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია ორგანიზატორსა და შემკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ბ) მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა;
- გ) წევრი სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს გადაყვანის მომსახურების მიწოდების ადგილს, გადამზიდავი არარეზიდენტი პირის მიერ განხორციელებული რეგულარული გადაყვანა, რეგულარული საერთაშორისო გადაყვანის მარშრუტზე, წინამდებარე რეგლამენტის თანახმად, იმ სატრანსპორტო მომსახურების გარდა, რომელიც აკმაყოფილებს ქალაქის ცენტრის და კონურბაციის, ასევე ქალაქებსა და მიმდებარე რეგიონებს შორის სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. კაბოტაჟური ოპერაციები არ ხორციელდება ასეთი საერთაშორისო გადაყვანისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 16**კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელების წესები**

1. კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელება, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით, რეგულირდება წევრ სახელმწიფოებში, რომელიც წარმოადგენს გადაყვანის მომსახურების მიწოდების ადგილს, მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული

დებულებების თანახმად, რომელთა მოქმედება ვრცელდება იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანის მომსახურების გაწევის ადგილს, შემდეგთან მიმართებაში:

- ა) სატრანსპორტო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შესრულების პირობები;
- ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების წონა და ზომა;
- გ) მგზავრთა ცალკეული კატეგორიების, კერძოდ, სკოლის მოსწავლეების, ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ტრანსპორტირების მოთხოვნები;
- დ) მგზავრობის და დასვენების დრო;
- ე) სატრანსპორტო მომსახურებაზე დაწესებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ).

პირველი ქვეპუნქტის (ბ) პუნქტში მითითებული წონა და ზომა, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი აღემატებოდეს წევრ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენს გადაყვანის დაფუძნების ადგილს, დადგენილ ფარგლებს, მაგრამ მითითებული წონა ან ზომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მასპინძელ წევრ სახელმწიფოში ეროვნული საგზაო მოძრაობისთვის დადგენილ მაჩვენებლებს ან ტექნიკურ მახასიათებლებს, 96/53/EU დირექტივის 6(1) მუხლის მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით სხვაგვარად იქნება არის გათვალისწინებული, კაბოტაჟური ოპერაციები, რომელიც წარმოადგენს, 15(გ) მუხლით გათვალისწინებულ სატრანსპორტო მომსახურების შემადგენელ ნაწილს, რეგულირდება მასპინძელ წევრ სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული დებულებებით, ნებართვებთან, სატენდერო პროცედურებთან, მარშრუტებთან და ასევე მომსახურების მიწოდების პერიოდულობასთან, ხანგრძლივობასთან და სისტემატიურობასთან მიმართებით.
3. კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო, სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებისა და მოწყობილობების ტექნიკური სტანდარტები, შეესაბამება იმ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით დადგენილ სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ხდება საერთაშორისო გადაყვანის განხორციელებისას.
4. ეთნიკური ნიშნით ან დაფუძნების ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის დაუშვებლობის მიზნით, პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული ნორმები ისევე ვრცელდება იმ არარეზიდენტ გადაყვანებზე, როგორც მასპინძელ წევრ სახელმწიფოში დაფუძნებულ გადამზიდავებზე.

კაბოტაჟურ ოპერაციებთან დაკავშირებული მაკონტროლებელი დოკუმენტები

1. მე-12 მუხლის თანახმად, ერთჯერადი კაბოტაჟური ოპერაციები ხორციელდება იმ სამარშრუტო სქემის საფუძველზე, რომელიც ექვემდებარება შენახვას გადამყვანის ყოველ სატრანსპორტო საშუალებაში და წარედგინება ნებისმიერ უფლებამოსილ მაკონტროლებელ თანამდებობის პირს, მისი მოთხოვნისამებრ.
2. სამარშრუტო სქემა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) საწყისი და საბოლოო გაჩერების პუნქტები;
 - ბ) მგზავრობის დაწყების და დასრულების თარიღები.
3. სამარშრუტო სქემები წარმოდგენილია იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული წიგნების სახით, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს, მე-12 მუხლის მიხედვით.
4. მგზავრობის სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელებისას, მაკონტროლებელ დოკუმენტს წარმოადგენს გადამზიდავსა და დამკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან აღნიშნული ხელშეკრულების დამოწმებული ასლი.
თუმცა სამარშრუტო სქემა ივსება ყოველთვიური ანგარიშის სახით.
5. გამოყენებული სამარშრუტო სქემები უბრუნდება იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ან პირს, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს, აღნიშნული პირების ან ორგანოების მიერ განსაზღვრული პროცედურების თანახმად.

თავი 6

კონტროლის საშუალებები და სანქციები

მუხლი 18

სამგზავრო ბილეთები

1. გადამყვანები, რომლებიც ეწევიან მგზავრობის რეგულარულ გადაყვანას, გარდა მგზავრობის სპეციალური რეგულარული გადაყვანისა, გასცემენ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ სამგზავრო ბილეთებს, რომელიც ითვალისწინებს:
 - ა) საწყისი და საბოლოო გაჩერების პუნქტებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, უკანა მიმართულების რეისს;
 - ბ) ბილეთის მოქმედების ვადას;
 - გ) მგზავრობის საფასურს.
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული სამგზავრო ბილეთი ექვემდებარება წარდგენას ნებისმიერი უფლებამოსილი მაკონტროლებელი პირის მოთხოვნისამებრ.

შემოწმება გზაზე და საწარმოებში

1. სანებართვო და მაკონტროლებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება შენახვას სატრანსპორტო საშუალებაში და წარდგენას ნებისმიერი უფლებამოსილი მაკონტროლებელი პირის მიმართ, მისი მოთხოვნისამებრ.
2. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწევიან მგზავრთა საერთაშორისო საავტობუსო მარშრუტებზე გადაყვანას, გასცემენ ყოველგვარი შემოწმების განხორციელების ნებართვას, რომლის მიზანია გადაყვანის სათანადოდ განხორციელების განსაზღვრა, კერძოდ, მძღოლთა სამუშაო და დასვენების დროსთან მიმართებაში. წინამდებარე რეგლამენტის შესრულების კონტექსტში, შესაბამისი მაკონტროლებელი თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან:
 - ა) შეამოწმონ ჩანაწერების წიგნაკები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც ეხება სატრანსპორტო კომპანიის საქმიანობას;
 - ბ) გადაიღონ ასლები ან ამონაწერები წიგნებიდან ან დოკუმენტებიდან შენობაში;
 - გ) ისარგებლონ წვდომით სატრანსპორტო საშუალებებზე ან სატრანსპორტო კომპანიის უძრავ ქონებაზე;
 - დ) მოითხოვონ ნებისმიერი, წიგნებში, დოკუმენტებში ან მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 20

ურთიერთდახმარება

წევრი სახელმწიფოები გაუწევენ ერთმანეთს დახმარებას, წინამდებარე რეგლამენტის შესრულების კონტროლის და სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ისინი მოახდენენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას (EU) 1071/2009 რეგლამენტის მე-18 მუხლის თანახმად გაფორმებული ეროვნული ხელშეკრულების პუნქტების მეშვეობით.

მუხლი 21

ევროპული გაერთიანების ლიცენზიის და ნებართვების გამოთხოვა

1. იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების დაფუძნების ადგილს, გამოითხოვენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიას იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი:
 - ა) აღარ აკმაყოფილებს 3(1) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ან
 - ბ) მან მიაწოდა ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გაცემისათვის საჭირო არასწორი მონაცემები.
2. ნებართვის გამცემი ორგანო გამოითხოვს ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი ვეღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც ნებართვა იქნა

გაცემული წინამდებარე რეგლამენტის თანახმად, კერძოდ, იმ წევრი სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს, მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 22

სამართალდარღვევისთვის დაწესებული სანქციები, რომლებიც გამოიყენება იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, სადაც დაფუძნებულია გადამყვანი

- წევრ სახელმწიფოში საგზაო ტრანსპორტირების შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის სერიოზული დარღვევის ან დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კერძოდ, იმ წესებთან მიმართებაში, რომლებიც ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებზე, მძღოლთა სამუშაო და დასვენების საათებზე, ასევე დროებითი ან პარალელური გადაყვანის არასანქცირებულ განხორციელებაზე, რაც არღვევს 5(1) მუხლის მე-5 ქვეპუნქტს, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩამდენი გადამყვანის დაფუძნების ადგილს, მიმართავენ სათანადო ზომებს, რომლებიც, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, ითვალისწინებენ გაფრთხილებას საქმის სასამართლოში გადაცემის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადმინისტრაციული სანქციების შემდეგი სახეობების დაწესება:
 - ევროპული გაერთიანების ლიცენზიების ცალკეული ან ყველა დამოწმებული ასლის გამოთხოვა;
 - ევროპული გაერთიანების ლიცენზიების დროებითი ან მუდმივი გამოთხოვა.აღნიშნული სანქციების შესაძლოა განსაზღვრულ იქნას საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ, ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სერიოზულობის, ასევე საერთაშორისო საგზაო მოძრაობასთან მიმართებაში აღნიშნული ლიცენზიის დამოწმებული ასლების რაოდენობის გათვალისწინებით
- იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს, მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მაგრამ საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის მომენტიდან არაუგვიანეს 6 კვირისა, აცნობებს იმ წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილს, პირველი პუნქტით განსაზღვრული სანქციის დაწესების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სანქციები არ იქნა დაწესებული, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს გადამყვანის დაფუძნების ადგილს, დაასაბუთებენ მიღებულ გადაწყვეტილებას.
- კომპეტენტური ორგანოები იძლევიან გარანტიას, რომ გადამყვანის მიმართ სანქციების გამოყენება წარმოადგენს სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების პროპორციულ ქმედებას და ითვალისწინებს ანალოგიურ სამართალდარღვევაზე იმ

წევრ სახელმწიფოში დაწესებული სანქციების გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილს.

4. წინამდებარე მუხლი არ ზღუდავს გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უფლებას, გადასცენ საქმე სასამართლოს ან ტრიბუნალს განსახილველად. სასამართლო პროცესის შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანო აცნობებს აღნიშნულის შესახებ იმ წევრი სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოებს, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილს.
5. წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ გადამყვანებს, წინამდებარე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სანქციის დაწესების შესახებ განაჩენის გასაჩივრების უფლებას.

მუხლი 23

მასპინძელი წევრი სახელმწიფოს მიერ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დაწესებული სანქციები

1. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ფლობენ ინფორმაციას, რომ არარეზიდენტი გადამყვანი მნიშვნელოვნად არღვევს წინამდებარე რეგლამენტს ან საგზაო ტრანსპორტირების შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობას, ის წევრი სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილს, მაქსიმალურად მოკლედ დროში, მაგრამ საქმეზე განაჩენის გამოტანის მომენტიდან არაუგვიანეს 6 კვირისა, წარუდგენს გადამყვანის დაფუძნების წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) სამართალდარღვევის აღწერა, ასევე მისი ჩადენის თარიღი და დრო;

(ბ) სამართალდარღვევის კატეგორია, სახეობა და სიმძიმე; და

(გ) დაწესებული და შესრულებული სანქციები.

მასპინძელი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მოსთხოვოს გადამყვანის დაფუძნების წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ადმინისტრაციული სანქციების დაწესება 22-ე მუხლის თანახმად.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეზღუდვის გარეშე, მასპინძელ წევრ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ სანქციებს არარეზიდენტი გადამყვანების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს წინამდებარე რეგლამენტი ან საგზაო ტრანსპორტის შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობა, მათ ტერიტორიაზე კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელების დროს. სანქციების არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს და შემოიფარგლება გაფრთხილებებით, ხოლო სერიოზული სამართალდარღვევის შემთხვევაში, დროებით კრძალავს კაბოტაჟურ ოპერაციებს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილს.

3. წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ გადამყვანებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე დაწესებული სანქციის გასაჩივრების უფლებას, წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 24

მონაცემების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში შეტანა

წევრი სახელმწიფოები აღრიცხავენ მგზავრთა გადამყვანი დაწესებულებების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში საგზაო გადაყვანის შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ მონაცემებს მათ ტერიტორიაზე დაფუძნებული გადამყვანების მიერ, რამაც ხელი შეუწყო წევრი სახელმწიფოს მიერ სანქციების დაწესებას, ასევე ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ან მისი დამოწმებული ასლების დროებითი ან მუდმივი გამოთხოვის შესახებ ინფორმაციას. ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მუდმივი ან დროებითი გამოთხოვის შესახებ მონაცემები ინახება მონაცემთა ბაზაში გამოთხოვის პერიოდის ამოწურვიდან - ლიცენზიის დროებითი გამოთხოვის შემთხვევაში ან გამოთხოვის თარიღიდან, მუდმივი გამოთხოვის შემთხვევაში, არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

თავი 7

შესრულება

მუხლი 25

შეთანხმებები წევრ სახელმწიფოებს შორის

1. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გააფორმონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები იმ გადაყვანის შემდგომ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რომელთა რეგულირებაც ხდება წინამდებარე რეგლამენტის საფუძველზე, კერძოდ, მაკონტროლებელი დოკუმენტაციის ლეგალიზაციასთან, გამარტივებასთან ან გაუქმებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებში.
2. წევრი სახელმწიფოები აცნობენ კომისიას პირველი პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ყოველი შეთანხმების შესახებ.

მუხლი 26

კომიტეტის პროცედურა

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკონტროლო-ჩამწერი აპარატურის შესახებ საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის (EEC) №3821/85 რეგლამენტის 18(1) მუხლის თანახმად.

- წინამდებარე პუნქტზე მითითების შემთხვევაში, გამოიყენება 5a(1)-(4) და 5(ბ) მუხლი და 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-7 მუხლი, წინამდებარე დირექტივის მე-8 მუხლის პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 27

სანქციები

წვერი სახელმწიფოები განსაზღვრავენ წესებს იმ სანქციებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენება ხდება წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში, და მიმართავენ აუცილებელ ზომებს სანქციების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფის მიზნით. წარმოდგენილი სანქციები უნდა ატარებდნენ ეფექტურ, პროპორციულ და პრევენციულ ხასიათს. წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან აცნობონ ევროკომისიას აღნიშნული დებულებების შესახებ 2011 წლის 4 დეკემბრამდე, ასევე დაუყონებლივ შეატყობინონ მას მოცემულ დებულებებში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესახებ.

წვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამგვარი ზომების მიღებას ეთნიკური ნიშნით და გადაყვანის დაფუძნების ადგილთან დაკავშირებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 28

ანგარიშგება

- ყოველ 2 წელიწადში ერთხელ წვერი სახელმწიფოები მიაწვდიან ევროკომისიას ინფორმაციას გასულ წელს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანასთან დაკავშირებით გაცემული ნებართვების რაოდენობის, ასევე ანგარიშგების პერიოდის დასასრულს მოქმედი აღნიშნული სახის ნებართვების საერთო რაოდენობის შესახებ. ასეთი ინფორმაციის წარდგენა ხდება ცალკე ყოველი ქვეყნის მიმართ, რომელიც წარმოადგენს მგზავრთა რეგულარული გადაყვანის მარშრუტის საბოლოო პუნქტს. წვერი სახელმწიფოები ასევე მიაწვდიან ევროკომისიას იმ კაბოტაჟური ოპერაციების შესახებ მონაცემებს, რომელთა განხორციელება ხდება გადაყვანი რეზიდენტი პირების მიერ ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში, რეგულარული და ერთჯერადი გადაყვანის ფორმით.
- ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მასპინძელი წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები უგზავნიან ევროკომისიას სტატისტიკურ მონაცემებს 15(გ) მუხლში მითითებული მგზავრთა რეგულარული გადაყვანის ფორმით, კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელებისთვის გაცემული ნებართვების საერთო რაოდენობის შესახებ.
- ევროკომისია განსაზღვრავს იმ ცხრილის ფორმატს, რომელიც გამოიყენება მე-2 პუნქტში მითითებული სტატისტიკური მონაცემების მიწოდებასთან დაკავშირებით. ასეთი ზომების, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს წინამდებარე რეგლამენტის

არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფა, მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 26(2) მუხლით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

4. არაუგვიანეს ყოველი წლის 31 იანვრისა წევრი სახელმწიფოები აცნობებენ, წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევროკომისიას ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მქონე გადამყვანების რაოდენობის, ასევე აღნიშნული თარიღის მდგომარეობით ექსპლუატაციაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით, ლიცენზიის დამოწმებული ასლების რაოდენობის შესახებ.

მუხლი 29

(EC) №561/2006 რეგლამენტის ცვლილება

(EC) №561/2006 რეგლამენტის მე-8 მუხლს ემატება შემდეგი პუნქტი:

მე-6 პუნქტიდან გამონაკლისის დაშვების გზით, მგზავრების საერთაშორისო გადაყვანის ერთჯერადი მომსახურების გამწევ მძღოლს, საავტობუსო სატრანსპორტო ბაზარზე წვდომის საერთო წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1073/2009 რეგლამენტის¹ თანახმად, შეუძლია გადადოს ყოველკვირეული დასვენების პერიოდი 12 თანმიმდევრული 24-საათიან პერიოდამდე წინა რეგულარული ყოველკვირეული დასვენების პერიოდის მიხედვით იმ პირობით, რომ:

- (ა) მომსახურება გრძელდება 24 თანმიმდევრული საათის განმავლობაში წევრ სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყანაში, რომელთან დაკავშირებითაც გამოიყენება წინამდებარე რეგლამენტი, გარდა იმ სახელმწიფოსა, სადაც დაიწყო მომსახურების გაწევა;
- (ბ) აღნიშნული გამონაკლისის განხორციელების შემდგომ მძღოლმა უნდა მიიღოს:
 - (i) ორი რეგულარული ყოველკვირეული დასვენების პერიოდი; ან
 - (ii) ერთი რეგულარული ყოველკვირეული დასვენების პერიოდი მინიმუმ 24 საათის ხანგრძლივობით. თუმცა აღნიშნული შემცირება ანაზღაურდება ერთობლივად აღებული დასვენების ექვივალენტური პერიოდით, გამონაკლისის სახით დაშვებული პერიოდის დასრულების შემდეგ მესამე კვირის დასრულებამდე.
- (გ) 2014 წლის 1 იანვრის შემდგომ, სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია საკონტროლო-ჩამწერი აპარატურით (EEC) 3821/85 რეგლამენტის Ib დანართის შესაბამისად.
- (დ) 2014 წლის 1 იანვრის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ 22:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე გადაადგილების პერიოდში, სატრანსპორტო საშუალება

¹ ოფიციალური ჟურნალი L 300, 14.11.2009, გვ. 88

დაკომპლექტებული იქნება ეკიპაჟის ბევრი წევრით ან მე-7 მუხლით გათვალისწინებულ გზაზე მოძრაობის პერიოდი შემცირდება სამ საათამდე.

კომისია გაუწევს ახლო მონიტორინგს აღნიშნული გამონაკლისის დაშვების შემდგომ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, რათა უზრუნველყოს საგზაო უსაფრთხოების შენარჩუნება განსაკუთრებით მკაცრ პირობებში, კერძოდ შეამოწმოს ის ფაქტი, რომ სრული დაგროვებული საგზაო მოძრაობის დრო გამონაკლისით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში არ არის გადაჭარბებული. 2012 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით, კომისია შეადგენს ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული გამონაკლისის დაშვების შედეგები საგზაო უსაფრთხოებასთან, ასევე სოციალურ ასპექტებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის მიზანშეწონილად, კომისია წარმოადგენს შესწორებებს წინამდებარე რეგლამენტში ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით.

თავი 8
დასკვნითი დებულებები
მუხლი 30
გაუქმება

წინამდებარე დოკუმენტით უქმდება (EEC) №684/92 რეგლამენტი და (EC) №12/98 რეგლამენტი.

გაუქმებულ რეგლამენტებზე მითითება განიმარტება, როგორც წინამდებარე რეგლამენტზე მითითება და უნდა იკითხებოდეს მე-3 დანართში წარმოდგენილი საკორელაციო ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 31
კანონიერ ძალაში შესვლა

წინამდებარე რეგლამენტი კანონიერ ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან მე-20 დღეს.

წინამდებარე რეგლამენტის გამოყენება იწყება 2011 წლის 4 დეკემბრიდან, გარდა 29-ე მუხლისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევა 2010 წლის 4 ივნისიდან.

წინამდებარე რეგლამენტი სავალდებულოა სრული მოცულობით და უშუალოდ მოქმედებს ყოველი წევრი სახელმწიფოს მიმართ.

შედგენილია 2009 წლის 21 ოქტომბერს სტრასბურგში.

ევროპარლამენტის სახელით
პრეზიდენტი
ჟ. ბუზევი

საბჭოს სახელით
პრეზიდენტი
ს. მალმსტრომი

*დანართი 1***ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დაცვის საშუალებები**

ევროპული გაერთიანების ლიცენზია უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილი დაცვის საშუალებებიდან მინიმუმ ორს:

- ჰოლოგრამა,
 - ქალაქის სპეციალური ბოჭკოები, რომელთა გამოვლენა ხდება ულტრაიისფერი დასხივების მოქმედებისას,
 - მინიმუმ ერთი მიკრომინიატურული ნაბეჭდი ზოლი (რომელიც ჩანს მხოლოდ გამადიდებელი მინის მეშვეობით და არ ექვემდებარება გამოსახვას ასლგადამღები ტექნიკით),
 - ტაქტილური ნიშნები, სიმბოლოები და ნახატები,
 - ორმაგი ნუმერაცია: სერიული ნომერი და გაცემის ნომერი;
 - დამცავი ფონი, წვრილი გილიოშირებული ნახატით და ირისის ბეჭდით.
-

დანართი II

ნიმუში

ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ნიმუში

ევროპული გაერთიანება

(ა) (Pantone ღია ცისფერი, ქაღალდის ფორმატი DIN A4 ცელულოზა, ქაღალდის სისქე არანაკლებ 100 გ/კვ. მ ან მეტი)

(ლიცენზიის პირველი გვერდი)

(ტექსტი წარმოდგენილია ოფიციალურ ენაზე (ენებზე) ან ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე)

ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი¹

კომპეტენტური პირის ან ორგანოს სახელი

ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ მგზავრთა საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანის განხორციელების

ლიცენზია N ...

(ან)

დამოწმებული ასლი N

წინამდებარე ლიცენზიის მფლობელს²

უფლება აქვს განახორციელოს მგზავრების საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანა, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ევროპული გაერთიანების ქვეყნების ტერიტორიაზე, საავტობუსო გადაყვანი საერთაშორისო ბაზარზე წვდომის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1073/2009 რეგლამენტში ჩამოყალიბებული პირობების და წინამდებარე ლიცენზიის ძირითადი დებულებების თანახმად.

შენიშვნა:

ლიცენზია ძალაშია დან

გაცემულია წლის

.....³

(ბ)

¹ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განმასხვავებელი ნიშნები: (B) ბელგია, (BG) ბულგარეთი, (CZ) ჩეხეთის რესპუბლიკა, (DK) დანია, (D) გერმანია, (EST) ესტონეთი, (IRL) ირლანდია, (GR) საბერძნეთი, (E) ესპანეთი, (F) საფრანგეთი, (I) იტალია, (CY) კვიპროსი, (LV) ლატვია, (LT) ლიტვა, (L) ლუქსემბურგი, (H) უნგრეთი, (MT) მალტა, (NL) ნიდერლანდები, (A) ავსტრია, (PL) პოლონეთი, (P) პორტუგალია, (RO) რუმინეთი, (SLO) სლოვენია, (SK) სლოვაკეთი, (FIN) ფინეთი, (S) შვედეთი, (UK) გაერთიანებული სამეფო.

² გადაყვანის სრული სახელი ან დასახელება და სრული მისამართი.

³ ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური პირის ან ორგანოს ხელმოწერა და ბეჭედი.

(ლიცენზიის მეორე გვერდი)

(ტექსტი წარმოდგენილია ოფიციალურ ენაზე (ენებზე) ან ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს ერთერთ ოფიციალურ ენაზე)

ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე ლიცენზია გაცემულია (EC) №1073/2009 რეგლამენტის თანახმად.
2. წინამდებარე ლიცენზია გაცემულია გადაყვანის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომელიც ახორცილებს მგზავრთა გადაყვანას ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ და:
 - ა) გააჩნია მგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელების ნებართვა, მათ შორის სპეციალური რეგულარული ან ერთჯერადი საავტობუსო გადაყვანის ნებართვა, გადაყვანის დაფუძნების წევრ სახელმწიფოში;
 - ბ) აკმაყოფილებს, ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო საქმიანობის განხორციელებისას, სამგზავრო გადაყვანის ოპერატორის სტატუსის მოპოვების შესახებ ევროპული გაერთიანების წესების თანახმად განსაზღვრულ მოთხოვნებს;
 - გ) აკმაყოფილებს სატრანსპორტო საშუალებებთან და მძღოლებთან მიმართებაში არსებულ კანონიერ მოთხოვნებს.
3. წინამდებარე ლიცენზია იძლევა მგზავრთა საავტობუსო მარშრუტებზე საერთაშორისო გადაყვანის განხორციელების უფლებას, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე არსებულ ყველა სატრანსპორტო მარშრუტზე:
 - ა) თუ მარშრუტის გაჩერების საწყისი და საბოლოო პუნქტები, რომელიც კვეთს ან არ კვეთს ევროკავშირის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან მესამე ქვეყნის ტერიტორიას, განთავსებულია ევროკავშირის წევრ ორ სხვადასხვა სახელმწიფოში;
 - ბ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი, რომლის გაჩერების საწყისი და საბოლოო პუნქტები მდებარეობს ევროკავშირის ერთ სახელმწიფოში, მაშინ როდესაც მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილი მდებარეობს ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში;
 - გ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და უკან, რომელიც კვეთს ან არ კვეთს ერთი ან რამდენიმე მესამე ქვეყნის ან წევრი ქვეყნების ტერიტორიებს; ან
 - დ) სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი ერთი მესამე ქვეყნიდან მეორეში, რომელიც კვეთს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას;

ასევე ცარიელი რეისები, რომელთა განხორციელება ხდება სატრანსპორტო საქმიანობასთან შესახებ (EC) №1073/2009 რეგლამენტით დადგენილი პირობების მიხედვით.

წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და უკან გადაყვანისას გამოიყენება (EC) №1073/2009 რეგლამენტი წევრი სახელმწიფოები სატრანზიტო გზებზე. აღნიშნული რეგლამენტი არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის იმ მარშრუტზე, რომელიც წარმოადგენს მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხმის ადგილს, სადა არ გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება ევროპულ გაერთიანებასა და მესამე ქვეყნებს შორის.

4. წინამდებარე ლიცენზია წარმოადგენს პირად დოკუმენტს და არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას.
5. წინამდებარე ლიცენზია შესაძლოა გამოთხოვილ იქნას მისი გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) გადამყვანი ვერ აკმაყოფილებს (EC) №1073/2009 რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილ მოთხოვნებს;
 - ბ) წარმოადგინა ლიცენზიის გაცემის და მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო მონაცემები არასწორად;
 - გ) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში ჩაიდინა ევროპული გაერთიანების ავტოსატრანსპორტო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა, კერძოდ იმ წესებთან მიმართებაში, რომლებიც ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებზე, მძღოლების მუშაობისა და დასვენების დროზე და, ასევე მოახდინა პარალელური ან დროებითი გადაყვანის არასანქცირებული განხორციელება, რაც არღვევს (EC) №1073/2009 რეგლამენტის 5(1) მუხლის მე-5 ქვეპუნქტს. იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებს, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩამდენი გადამყვანის დაფუძნების ადგილს, შეუძლიათ გამოითხოვონ ევროპული გაერთიანების ლიცენზია ან განახორციელონ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის რომელიმე ან ყველა დამოწმებული ასლის დროებითი ან მუდმივი გამოთხოვა.

წინამდებარე სანქციები განისაზღვრება, იმ სამართალდარღვევის სიმძიმის მიხედვით, რომელიც ჩადენილია ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის მიერ, ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებებთან მიმართებაში აღნიშნული ლიცენზიის დამოწმებული ასლების საერთო რაოდენობის მიხედვით.

6. ლიცენზიის ორიგინალი უნდა ინახებოდეს გადამყვანთან. ლიცენზიის დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში, რომელიც გამოიყენება გადამყვანის მიერ საერთაშორისო სატრანსპორტო საქმიანობის განხორციელებისას.
7. წინამდებარე ლიცენზია უნდა წარედგინოს ნებისმიერ მაკონტროლებელ პირს მისი მოთხოვნისამებრ.
8. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიცვას სატრანსპორტო საშუალებასთან და გადამყვანთან მიმართებაში, ამ

სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული დებულებები.

9. 'მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ნიშნავს მომსახურებას, რომელიც ითვალისწინებს მგზავრთა ტრანსპორტირებას, განრიგის მიხედვით, გარკვეული მარშრუტით და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხმას გაჩერების პუნქტებში, მომსახურება არის ყველასთვის ხელმისაწვდომი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ექვემდებარება რეზერვირებას.

მგზავრთა გადაყვანის რეგულარული ხასიათი არ უნდა შეიცვალოს მათი გადაყვანის განხორციელების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ.

ნგზავრთა რეგულარული გადაყვანის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვის მიღება.

'მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა' ნიშნავს რეგულარული ხასიათის მქონე მომსახურებას, რომელიც მოიცავს მგზავრთა ცალკეული კატეგორიების ტრანსპორტირებას, ცალკეული მარშრუტის განრიგის მიხედვით, რაც ითვალისწინებს მგზავრთა ჩასხდომას დადგენილ გაჩერების პუნქტებში.

მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა მოიცავს:

- ა) მუშაკების სამუშაო ადგილამდე და უკან ტრანსპორტირებას;
- ბ) სკოლის მოსწავლეების და სტუდენტების ტრანსპორტირებას საგანმანათლებლო დაწესებულებამდე და უკან.

მგზავრთა სპეციალური გადაყვანის შეცვლის შესაძლებლობა არ ახდენს გავლენას მათ რეგულარული გადაყვანის კლასიფიკაციაზე.

მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელებისათვის არ არის აუცილებელი ნებართვის მიღება იმ შემთხვევაში, თუ მათი განხორციელება ხდება, შემკვეთს და გადამყვანს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პარალელური ან დროებითი გადაყვანის ორგანიზება, რომელიც ემსახურება რეგულარული მომსახურების მომხმარებლებს, საჭიროებს ნებართვის მიღებას.

'მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა' ნიშნავს მომსახურებას, რომელიც არ შედის 'მგზავრთა რეგულარულ გადაყვანაში' და გულისხმობს სპეციალურ რეგულარულ გადაყვანას, რომელთა ძირითადი მახასიათებელი არის მგზავრთა იმ ჯგუფის ტრანსპორტირება, რომელიც ფორმირებული იქნა შემკვეთის ან გადამყვანის ინიციატივით, პარალელური ან დროებითი გადაყვანის ორგანიზება, რომელთა შედარება შეიძლება არსებულ რეგულარულ გადაყვანასთან და რომლითაც სარგებლობს იგივე მომხმარებელი, მოითხოვს ნებართვის მიღებას, (EC) №1073/2009 რეგლამენტის მე-3 თავში წარმოდგენილი პროცედურასთან შესაბამისად. მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანა არ კარგავენ საკუთარ სტატუს მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ აღნიშნული სახის გადაყვანა ხორციელდება გარკვეულ ინტერვალებში.

მგზავრთა ერთჯერადი გადაყვანის განხორციელებისთვის არ არის საჭირო ნებართვის მიღება.

თავი III
საკორელაციო ცხრილი

რეგლამენტი (EEC) №684/92	რეგლამენტი (EC) №12/98	წინამდებარე რეგლამენტი
მუხლი 1		მუხლი 1
მუხლი 2, პუნქტი 1.1	მუხლი 2(1)	მუხლი 2 (2), მუხლი 5(1)
მუხლი 2, პუნქტი 1.2	მუხლი 2 (2)	მუხლი 2 (3), მუხლი 5(2)
მუხლი 2, პუნქტი 1.3		მუხლი 5(1), მეხუთე ქვეპუნქტი
მუხლი 2, პუნქტი 3,1	მუხლი 2(3)	მუხლი 2(4), მუხლი 5(3)
მუხლი 2, პუნქტი 3,3		მუხლი 5(3)
მუხლი 2, პუნქტი 3,4		მუხლი 5(3)
მუხლი 2, პუნქტი 4		მუხლი 2(5), მუხლი 5(5)
მუხლი 3		მუხლი 3
მუხლი 3a		მუხლი 4
მუხლი 4		მუხლი 5
მუხლი 5		მუხლი 6
მუხლი 6		მუხლი 7
მუხლი 7		მუხლი 8
მუხლი 8		მუხლი 9
მუხლი 9		მუხლი 10
მუხლი 10		მუხლი 11
მუხლი 11		მუხლი 12
მუხლი 12		მუხლი 13
მუხლი 13		მუხლი 5(5)
	მუხლი 1	მუხლი 14
	მუხლი 2(4)	
	მუხლი 3	მუხლი 15
	მუხლი 4	მუხლი 16
	მუხლი 5	მუხლი 4(3)
	მუხლი 6	მუხლი 17
	მუხლი 7	მუხლი 28(3)
	მუხლი 8	მუხლი 26
	მუხლი 9	
მუხლი 14		მუხლი 18
მუხლი 15		მუხლი 19
	მუხლი 11(1)	მუხლი 20
მუხლი 16(1)		მუხლი 21(1)
მუხლი 16(2)		მუხლი 21(2)
მუხლი 16(3)		მუხლი 22(1)
მუხლი 16(4)		მუხლი 23(1)
მუხლი 16(5)		მუხლი 22(2)
	მუხლი 11(2)	მუხლი 23(2)
	მუხლი 11(3)	მუხლი 23(2)
	მუხლი 11(4)	
	მუხლი 12	მუხლი 22(5), მუხლი 23
	მუხლი 13	
მუხლი 16a	მუხლი 10	მუხლი 26

რეგლამენტი (EEC) №684/92	რეგლამენტი (EC) №12/98	წინამდებარე რეგლამენტი
მუხლი 17		
მუხლი 18		მუხლი 25
მუხლი 19	მუხლი 14	მუხლი 27
მუხლი 20		
მუხლი 21		მუხლი 30
მუხლი 22	მუხლი 15	მუხლი 31
დანართი		დანართი 11